

რვაენი

კავშირები

რედაქცია... საბაზოთო მასალა უნდა იყოს... დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე...

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

ღრმად დაშუბრებული: ქვივი ანტონ ბაქარის ძის მიქელაძისა— პელაგია გიგო ბერიძის ასული, შვილი მათი შალვა ანტონის ძე მიქელაძე და მეუღლე უკანასკნელისა— ოლიმპიადა კონსტანტინე ლორთქიფანიძის ასული აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 11 მაისს, დღით კვირას 12 საათზე დღით, ს. კულაში, ჯვარტმის ეკლესიაზე დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი

ანტონ ბაქარის ძის მიქელაძის სულის მოსახსენებლათ.

ლიკვიდაცია

ქრობის შეწყვეტის გამო ყოველგვარი საგალანტერეინო, ხელით დამზადებული ქონელი, ავრეთვე ქალებისა და მამაკაცების თეთრეულობა, მადელონი თეთრეულობისათვის, საკისური, ვალსტუკები, და სხვა მრავალგვარი

საჭირო საქონელი იყიდება

ლაზიის მოწყობილობით. მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ მთელად, აგრეთვე ნაწილობითაც. მისამართი: ქარვასლის ქუჩა, ჩილინგაროვის სახლი, პირველი გიმნაზიის პირდაპირ. საფაქრო „უნივერსალი“.

პირველი დივიზიის ინტენდანტის სამართველო ცხადებს, რომ 10 მაისს, დილის 10 საათზე ინტენდანტის სამართველოში (გოსპიტალის ქ. სახ. ჩიჯავაძისა)

დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

იჯარით ჰურის გამოსაცხობლათ ქ. ქ. ქუთაისში, სამტრედიისში, ფოთში და სხვა სხუთში ჯარების საქირებებისათვის. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებთ ევალდებულებათ შემოიტანონ სამართველოში განცხადება არა უგვიანეს 10 მაისის დილის 9 საათამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ვაჭრობაში დაშვებული არ იქნებიან. საჯარო ვაჭრობა იქნება სიტყვიერი. პირობების გაცნობა შეიძლება ინტენდანტის სამართველოში ყოველ დღე ნაშუადღევსას ორ საათამდე.

ძალაძის თეატრი.

მარსაკვეს 9 მაისს 1919 წლისა შესდგება მხოლოდ ერთი კონსერტი. თბილისის სახელმწიფო თეატრის პრემიერის

ტალია ივანეს ასულის საბანიევისა

სახელმწიფო თეატრის პრემიერის თევდორე პალიაევის (ბარტონი) და ს. დ. ლიუბინას მონაწილეობით. ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში დილის 10-2 საათ. და საღ. 6-8 საათამდე.

ქუთაისის ქალაქის გამგეობის საექიმო-სასანიტარო განყოფილება ამით ახსადებს მოქალაქეთა სასურსათო

რომ ამ დღეებში ქალაქის სასანიტარო რაზმი შეუდგება ეზოების გაწმენდას. განყოფილება სთხოვს იმ პირთ, ვისაც ეზოები გასაწმენდი აქვთ, კეთილინებონ და შემობრძანდენ გამგეობაში ჯეროვანი ბარათების მისაღებათ.

გამგეობის წევრი ალ. ჯაფარიძე. სასანიტარო ექიმი ვალ. ლორთქიფანიძე.

ექიმი ბიპტორ ნიკიფორაძე

ლობს ავთიმოფებს დღით 9-2 საათამდე, საღამოს 4-7 საათამდე. ძველი თბილისის ქუჩა, ქორქაშვილის სახლი. 24-2

სასამართლოს დამოუკიდებლობა გააუქმეს.

3 მაისს იუსტიციის მინისტრის თანაშემწემ ს. ჯაფარიძემ სასამართლო პალატის თავმჯდომარე მ. მღვდლიშვილი გადააყენა და თავმჯდომარის მოვალეობის ასრულება ამავე პალატის სამოქალაქო დეპარტამენტის თავმჯდომარეს გადასცა.

ეროვნული საბჭოს 5 ივლისის დადგენილებით ყოფილმა იუსტიციის მინისტრმა უკვე შეამცირა პალატის შტატები და სამსახურიდან დაითხოვა 4 დეპარტამენტის თავმჯდომარე, 20 მეტი პალატის მდივნის თანაშემწე და სხ. და ორი დეპარტამენტი დასტოვა!

ბ.ნ. ს. ჯაფარიძე კი ეროვნული საბჭოს 5 ივლისის დადგენილებითვე იმართლებს თავს!

მაგრამ ეროვნული საბჭოს დადგენილებასა და მის განკარგულებას შორის, რასაკვირველია, არავითარი კავშირი არ არის.

მაშასადამე იუსტიციის მინისტრის თანაშემწემ უკანონო განკარგულება მოახდინა.

კონსტიტუციის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი დაღადებს: მოქალაქე მინისტრის უკანონო განკარგულებას არ უნდა ემორა ჩილებოდეს.

მეორე მხრით, მ. მღვდლიშვილს არ შეუძლია არ დემორჩილოს ხსენებულ განკარგულებას, რადგან ეს—სახელმწიფოებრივი შინაგონის დანგრევა იქნებოდა. ამგვარად დამოუკიდებელ საქართველოში სასამართლო-დამოუკიდებელი არა ყოფილა!

„კარგი რომ მჭირდეს, გიკვირდეს, ავირა საკვირველია“, რუსთველის ეს მარგალიტი სიტყვები ჩვენი მთავრობის მოქმედებაზე სწორედ ზედგამოჭრილი!

რომელი მისი განკარგულებაა მიზანშესაბამი? გაინსენეთ, რა დავართა ბორჯომის, საუფლისწულოსა და სხვა გაუმჯობესებულ მაშულებს ხომერკის ხელში! რეგულიარული ჯარის მოწყობის საქმეს გიორგაძის ხელში! ფინანსებს ჟურჯულისა და კანდელაკის ხელში! საგარეო პოლიტიკას ე. გეგეჭკორის ხელში! და საერთო სეროვნულ პოლიტიკას ნ. ეორდანიას ხელში!

და სასამართლოს საქმე რომ წესიერად მოწყობილი ყოფილიყო, სწორედ ეს იქნებოდა საკვირველი!

საკმაო აღწინა სასამართლოს ერთი დიდი ნაკლი—აქილესის ტერფი—პარტიული შემადგენლობა ჩემი სიტყვის დასამოწმებლად.

დიად! როდესაც სახელმწიფოებრივი აპარატის თვითველი სფერო ინგრევა,

რა საკვირველია, ნგრევის პროცესმა სამართლის სფეროც რომ ჩაითრია?!

და, როგორც სამართლიანად ამბობს გაზ. „გრუზია“, საქართველოს დამოუკიდებლობას უპირველესად გარეშე ძალა კი არა, შინაური მოუწყვრიგებლობა ემუქრება განადგურებით.

სამწუხაროდ მინისტრები კაბინეტში შეიყუყუნ და ვეღარ ხედვენ, როგორი სისწრაფით იზრდება ხალხში მთავრობისადმი უკმაყოფილება.

და კიდევ უფრო სავალალო ის არის, რომ მთელმა მმართველმა პარტიამ დამფუძნებელ კრებაში მოიკალათა, ცხოვრებასთან კავშირი გასწყვიტა და ხალხის ჩივილს ყურს აღარ უგდებს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ქ. ქუთაისში ლექცია წაიკითხა და ამტკიცებდა, საქართველოში შიმშილობა არ არისო! შეიძლება მინისტრებს არ შიოდესთ! მაგრამ, როცა ფუთი სინინდი თუთხმეტ თუმნად ღირს, შიმშილობაა ეს, მაშ რაა?!

ხომერკიამაც გაგვამდენიერა (!) თავისი ლექციითა და გვამცნო; ხალხი ორ ბანაკად განიყოფება; მშრომელ გლეხად და მუქთანორა თავადზნაურობად.

მაგრამ, მინისტრის კაბინეტში რომ შევიდა, სწორედ მაშინ გაუწყრა მას ღმერთი. ვინც კი სოფელს იცნობს, დამემოწმება, რომ სოფლის ყოფილი თავადზნაურობა დღეს ისეთივე მშრომელია, როგორც გლეხობა.

ერთი სიტყვით მმართველი პარტია ცხოვრებას ჩამორჩა. ასე სჩვევია გადიდკაცებას!

დიად! ხალხი უკმაყოფილოა და თავის გაპირვებას ცასაც კი შესჩივის.

ესმისთ კი ეს ბატონ მინისტრებსა და მათს პარტიულ ამხანაგებს? არ ესმისთ! და საფრთხეც აქ მარხია!

ვასალ წერეთელი.

დაუსჯელი დანაშაული.

ინგლისის პიკეტემა, „სამხრეთ რესპუბლიკის მთავრობა“, რომ ვაგონში დაატუსაღეს და თბილისის სადგურზე „ზაგადალ“ ჩამოიტანეს, ამაში ისტორიის ირონია ვნახეთ მხოლოდ.

სისხლნაკლებსა და სუსტ კუნთებიან ხალხს, ცარიელი პრეტენზია ღუპავს, სინამდვილე მასხარად აიგდებს და ქუჩაში გამოათრევს სწორედ ისე, როგორც ეს ყარსის „შურა“-ს დავართა.

ყარსის რესპუბლიკანელებმა თავიანთი სახის კარკატურა შეიფერეს, რადგან სხვა სახით, უფრო სერიოზული და ტრადიკული ფიგურით ისტორიის სარბილზე ისინი არავის უნახავს.

სულ სხვაა, როდესაც ასეთივე შესაძლებლობის რკალებში მოემწყვდევა საკმაოდ დარბაისელი და ცეცხლის წნით გოლოკიდ ერის სხეული.

ქართველი ერის სხეულში სისხლიც ქარბად არის დაგროვილი, კუნთებიც ძალზე მოქნილია, მაგრამ მის სახელმწიფო კაცებს გულის სიგანეერე სტანჯავს და ერის სასიცოცხლო ენერჯიას საშოშივე ახზობენ.

ჩვენს მთავრობას არც ის გრძობის სიზმრა აქვს, რომელიც ათონის ბერებს საქართველოს განდიდებისადმი უფლისა შიშით ლოცვად აღაფლუნდა და არც ის რომელიც გულცივი პოლიტიკა, რომელიც ყოველგვარ მშვიდობიანობას იარაღით ამყარებდა.

მართა ის ფაქტი რად ღირს ჩვენი თავმოყვარეობის დასაფასებლად, რომ რესპუბლიკის ამფეთქებელი კუჩარბანც-შმაგაილოვების თბილისის ქუჩებზე სერიზობა არ უმძიმთ.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყველაფერი ისევება, არ ისევებიან მხოლოდ დამნაშავენი და ჩვენი დამოუკიდებლობის მტრები.

ინგლისის მისიის მოთხოვნით განთავსდნენ შმაგაილოვი, თუ, ჩვენი მთავრობის შემწევობით, ეს არ გვინტერესებს იშდენად, რამდენადც ის შიშველი ფაქტი, რომ საშაქარაოზე გამოტანილ შმაგაილოვის მიმბარავი ფიზიონომია ჩვენდა სასიცოცხლოდ ისევ თვალწინ აგვეტუზა.

გასაგები ენით ხალხს ვერ გადავცემთ, ჩვენი მთავრობის დიპლომატობა ასეთი დამნაშავეს გამართლება, თუ ჩვენი სამხედრო გასტროლიორების ძალადობა, რადგან პირველს ჩვეულებრივ მაქანკლობად ჩამოგვართმევს, მეორეს კი თავმოყვარეობის გაბიარებულად.

ან რად გავამტყუნეთ, ან რად გავამართლებთ, — აი ხალხის ლოლიკა, და მთელი საქართველოს ლოლიკაც ესაა შმაგაილოვის მიმართ.

საფრანგეთის რევოლიუციონერებს ყველაფერი მოვარეთ, თვით პოლიტიკური ტერმინოლოგიაც კი და კონვენტის ძირითად კანონებიდან დაწესებული უბრალო ადმინისტრაციულ ერთეულებამდე, რომ სახელმწიფო მოღალატეთათვის საგანგებო მუხლები იწერებოდა ეს კანონი რით შეიქმნა ურიგო და მიუღებელი ჩვენი ქვეყნისთვის?

ვინ არ იცის, რომ დემოკრატიულ საქართველოში მრავალ „შინაურ მტრებს“ თეთრი ტერორით უმასპინძლებოდნენ.

მშვიდობიანობის სიყვარულით ურიგდებოდა ხალხი უფლებრივ სახელმწიფოში ყოველად შეუწყნარებელ ტერორისტულ მეთოდს, და მთავრობაც მომენტის რევოლიუციონერ პირობებით იმართლებდა მაშინ თავს, მაგრამ ნუ თუ რევოლიუციაც შმაგაილოვებმა უნდა დაამთავრონ საქართველოში და უფლებრივი სახელმწიფოს შექმნაც გარეე მტრებიდან უნდა დავიწყეთ!

დაუსჯელი დანაშაული მხოლოდ მთავრობის ავტორიტეტს დასცემს და ერს დააეჭიანებს თავის შემძლეობაში.

პოლიტიკურად ელაში ადამიანები თუ ვერ შეხედავენ პირდაპირ, თორემ შმაგილოვის განთავისუფლების ფსიხოლოგიური დიაგნოზი სწორად არის დაყენებული.

ცალი მკლავი თურმე ჯიოკონდასაც აკლია, მაგრამ ამ ქანდაკების გადაკეთება შარხად გერ არავის უფიქრია და ფიქრობთ უკმ შრომას გასწევს ის, ვინც საქართველოს სხეულიდან კარიკატურის გამოქრას მოინდომებს.

ყოველ შემთხვევაში ჩვენს მთავრობას არ უნდა ხედეს წილად ასეთი უმაღური მოქანდაკის როლი.

კ. მისაბიშვილი.

პ რ ე ს ა.

ინგლისის პოლიტიკის შესახებ.

გაზ. „სახალ. საქმე“. სამართლიანად აღნიშნავს იმ გაურკვეველ პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც ინგლისელებს დასჩემდათ ამიერ-კავკასიაში:

უბედურება ის არის, რომ ჩვენ აქამდე დანამდვილებით არ ვიცით, რანაირი განზრახვები აქვს მოკავშირეებს ამიერ-კავკასიისთვის. ინგლისელები მოვიდნენ აქ მდუმარედ და აქამდე მდუმარედ არიან. მათ სულ არაფერი უთქვამთ თავიანთ მიზნების შესახებ. კანტიკუნტად, ისევ თვით ინგლისის რომელიმე

პირის ნალაპარაკებიდან თუ გავიგებდით ხოლმე, რომ ინგლისის თითქოს არა აქვს რაიმე აგრესიული მიზნები კავკასიაში. ჩვენ კარგად ვიცით ყოველ იმპერიალისტურ სახელმწიფოს ბუნება. ეს გათვალისწინებული გვექონდა, მაგრამ ყოველმა ცდამ ოდნავ მაინც გამოგვეკვია ურთიერთობა—ამიოდ ჩიარა. ამ ბოლო დროს ლაპარაკი იყო რაღაც ფურცლებზე, სადაც მიმართავდნენ ამიერ-კავკასიის ერებს და თითქოს უხსნიდნენ თავიანთ სტუმრობის მიზანს. ცოტა არ იყოს უცნაურად მოეჩვენება ადამიანს, რომ ეს ხალხი თითქმის ექვსი თვეა აქა ბინადრობს და მხოლოდ ეხლა მოაგონდა ჩვენთან გამოლაპარაკება. მაგრამ უკანასკნელად მოხდა რამდენიმე ფაქტი, რომელიც ყველასათვის აშკარა ძალდატანების ნაყოფია. ეს ფაქტები უეჭველია დიდ-მნიშვნელოვანია და ხალხმა უნდა იცოდეს, რაშია საქმე. მართალია თუ არა ის, რომ ინგლისელების მოთხოვნით მთავრობა იძულებული იყო გაენთავისუფლებინა ძეგვის ხიდის ამფეთქებლები ინჟინერი შმაგაილოვი, კუჩარბანცი და ის ზოგიერთი პირები, რომელთაც დინამიტა და სხვა ასაფეთქებელი მასალა აღმოაჩნდათ.

ვიმეორებთ, უეჭველად საქიროა ყველაფრის გამორკვევა, რომ ხალხი ყოველგვარ მოულოდნელობისათვის მზად იყოს. ბოლოს და ბოლოს უნდა ისიც ვიცოდეთ, აქაური წარმომადგენელნი მოქმედებენ ინგლისის ცენტრიდან მოწოდებულ დირექტივების მიხედვით, თუ ისინი აწარმოებენ ერთგვარ პირად პოლიტიკას? ჩვენ აქ ექვი გვებადება, რადგან ჩვენი დედეგაციისაგან რამდენიმე ცნობა მივიღეთ ისეთი, რაიც ინგლისის აქაურ წარმომადგენლების გეზს თითქოს არ ეთანხმება. ჩვენ ვიცით, რომ ინგლისი პრინციპიალურად აღიარებს ჩვენს დამოუკიდებლობას. ყველაფერს ამას დამაკმაყოფილებელი პასუხი უნდა გასცეს მთავრობამ და დამუშავებულმა კრებამ, რომ თუ რამ საფრთხე მოგველის, ეს საფრთხე ჩვენთვის არ იყოს მოულოდნელი. ჩვენ აფრიკის ველურები არ ვართ, რომ შიშვლებს ტანისამოსი ჩაგვაცვან და სხვა და სხვა ფასი დააწესონ თავიანთ სიცოცხლის და ჩვენ, უბრალო მომაკდევთათვის. ეს უნდა ვაგრძობინოთ ყველას და ისიც უნდა გავაგებინოთ, რომ თავისუფალი საქართველო ვერავის საფრთხითა მოედნად ვერ გავდება და რევოლიუციონერ მონაპოვარს ფხვით არავის ვაათეფინებს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ კიდევ ველით განმარტებას და მდგომარეობის ოდნავ გამორკვევას...

საგაგულო რეფორმა.

საქართველოში მიწების ყიდვა-გაყიდვა აღკრძალულია და ამ აღკრძალვას სამეურნეო და ფინანსიური კრიზისი მოჰყვა შედეგად.

ჯერ ერთი, რადგან მიწის ყიდვა აღარ შეიძლება, ფულს ფასი დაეკარგა. ცხადია, მაშასადამე, რომ სავაჭროთა გაცვლა-გამოცვლითი ტრიალის სფეროდან მიწის — ამ უმთავრესი საქონლის — გამორიცხვა — უდიდესი სახელმწიფოებრივი შეცდომაა.

მეორე: გაუმჯობესებული შეურნეობა ჯერ შვიდი დესეტინის ფარგალშია შეუძლებელია. და, შეურნეს, რომელსაც შვიდ დესეტინაზე ნაკლები აქვს, თუ კი არ შეუძლია მამული ნორმამდის მაინც აიყვანოს, ექნება ხალხის მოახმაროს თავისი თავისუფალი კაპიტალი სამეურნეო გაუმჯობესებას!

მესამე, მიწების უსასყიდლოთ ჩამორთმევამ უარებელი მეურნეგააკოტრა და გაუმჯობესებულ მიწის მოქმედებას ძირი გამოუთხარა. და, მეოთხე, მიწების ჩამორთმევა მიიწვია და მაინც არც სამართლიანობის თვალთახედვით იყო მიზანშესაბამი, რა-

დგან, ზოგიერთის წვრილი მესაკუთრისთვის თუ ხელსაყრელი იყო, სამიწისმოქმედო პროლეტარებისთვის, რომელთაც საკუთარი ხარკამბში, სხვა სამეურნეო იარაღი და თესლი არ გააჩნიათ, პირიქით, ძლიერ საზარალო იყო.

ერთადერთი მიზანშესაბამი რეფორმა — ტყეების სახელმწიფო ხელში გადასვლაა, რადგან ტყეების განადგურება — მეურნეობის განადგურებაა.

მაგრამ ეს რეფორმაც ცალმხრივად არის გატარებული, როგორ შეიძლება მოსახლეს სასარე, საშეშე და, საზოგადოდ, შინ სახმარებელი ტყე არა ჰქონდეს?!

მერე კიდევ! უკვე დაკანონებულ სამიწის-მოქმედო რეფორმაში კიდევ ბევრი სხვა უცნაურობაა. მიწის რაოდენობა ოჯახით განსაზღვრეს! მაგრამ განა ყველა ოჯახი ერთი? ათუხმეტ წევრიან ოჯახსაც შვიდი დესეტინა უნდა ეკუთნოდეს და სამწევრიანსაც?! სად არის აქ ან სა-მართალი ან მიზანშესაბამობა?!

ეს კიდევ არაფერი: ორსა და სამ ოჯახს არ შეუძლია შეართოს თავისი შიშვები! წინააღმდეგ შემთხვევაში შეერთებულ მოსახლეობას შვიდ დესეტინაზე მეტი ჩამოერთმევა! მაშასადამე შეუძლებელი შეიქნა გაერთიანებული, კოოპერატიული სამეურნეო წარმოება. რომელსაც კარლ მარქსი, ენგელსი, კაუტსკი და სხვ. ეტრფოდნენ!

ერთი სიტყვით, რეფორმა უღმობიერის კრიტიკის შეხებასაც კი ვერ უძლებს მაგრამ, რაც მოხდა, იმის სრული გაუქმება და, მაშასადამე, ძველი მიწათმფლობელობის აღდგენა შეუძლებელია. ამისთვის კონტრევოლიუცია იქნებოდა საქირო, რომელიც საქართველოს წარდგინით წარდგინდა, და განადგურებდა, გვაშროოს ღმერთმა.

მაგრამ რეფორმის გასწორება და გაუკეთება — აუცილებელია.

ტყეები საძოვრები და მინდვრები — სახელმწიფოს ხელშივე უნდა დარჩეს.

მადნის დამუშავების უბრაატესობა კი უნდა ჰქონდეს იმას, ვის მამულშია ც მადანი აღმოჩნდება.

მაქსიმუმი, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ერთს კაცს, უნდა იყოს გამოანგარიშებული სულზე და არა ოჯახზე, და თვითეულ სულს ათი დესეტინის შეძენის უფლება მაინც უნდა ჰქონდეს.

იმავე დროს ჩამორთმეული მამულების პატრონებს სასყიდელი უნდა მიეცესთ.

დასასრულ, სასურველია, აფხაზეთსა და სამუსლიმანო საქართველოში მეტი სიფრთხილითა და მიზანშესაბამობით განხორციელდეს მიწის რეფორმა.

„ზოგჯერ სიწყნარე გამობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსაო“, ამბობს ბრძენი რუსთაველი.

კვერი.

ინგლისის პრესის ცნობები

როო-ღე ჟანერიოში იტალიელებმა დიდი დემონსტრაციები გამართეს იტალიის მთავრობისათვის თანაგრძობის გამოსახატავათ იტალიის ეროვნულ საკუთრების დაბრუნების საკითხის გამო, პროცესია მუსიკით და გაშლილი დროშებით გაემართა იტალიის საკონსულოსაკენ, სადაც სიტყვები წარმოსთქვა და იტალიის წარშობადგენელს აღფრთოვანებული ხალხი მიესალმა. ბრაზილიას ყველა კუთხის იტალიელთა ახალშენებიდან ასეთივე ცნობები მოდის.

ვარშავაში სეიმმა კმაყოფილება გამოსთქვა ვილნოს და გროდნოს პოლონეთთან შეერთების გამო.

ტრესტში მაისის 1-ის დღესასწაულში წყნარათ ჩაიარა. მოხდა მხოლოდ ეროვნული ხასიათის მანიფესტაციები.

ბუნოს აირესშიც დიდი პატრიოტული მანიფესტაციები გაიმართა.

ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ ბელაკუნმა სლოვაკთა და სამხრეთის სლოვაკთა მთავრობებს აუწყა, რომ უნგრეთი შესაძლებლათ სცნობს მათ დაუბრუნოს სადავო ადგილები; საქიროა საომარი მოქმედების შეწყვეტა.

შრანაშული პრესის ცნობები.

სამ. დებ. სააგენტო. ლონდიდან იუწყებიან, რომ შრანაშული მოძრაობის და შექმნის თითქმის ყველგან შესწყდა, მაგრამ არავითარ ინციდენტი არ მოხდარა, სინდიკალისტებმა რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ტრენდიციულ მიტინგებზე, წვიმამ გაჭაფნტ მანიფესტაციები არ მოხდარა. მოძრაობა სრულიად შესწყდა, ყველა სავაჭრო და ტილ იყო და ქალაქს, ექვს გარეშე დაღვრემილი სახე ჰქონდა უსაქმური ხალქუჩებში ჯგუფდებოდა. მანიფესტანსოცილისტები აგენტებთან თანხმობით მოქმედებდნენ. მაგრამ მის შემდეგ, რამდენიმე კაცი დასჭრეს, მანიფესტანტები დილით გაფანტეს.

ხუთშაფათს ვერსალში ტრინონის სახლში გერმანიის და მოკავშირეებარწმუნებულთა შორის რწმუნების ქაღალსა დების გაცვლა — გამოცვლა მოხდა.

მთელ იტალიაში მანიფესტაციები გრძელდება. სონინო გუშინ პარიზში გაემგზავრდა გუშინ ფიუმეს ეროვნულმა საბჭომ ყველა მოქალაქეთა პროცესიის დასწრებით ძლი უფლება ჩააბარა იტალიის მთავრობას წარმომადგენელს გენ. გრაციონის.

ინგლისური პრესის ცნობები

(საქ. დებ. სააგენტო)

მოსალოდნელია, რომ შაბათს ტრიანონის სასახლის დიდ დიბაზში კლემანსო გერმანიის წარმომადგენლებს გადასცემს ხელშეკრულობის დიდ ტომს.

იუწყებიან: ორლანდო რომშია და პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ მისი აზრით ფიუმე მსაკითხში შეიძლება დთმობაზე წასვლა — ფიუმე თავისუფალ ქალაქთ გამოცხადდეს ისე, რომ საზავო ხელშეკრულებდ არ დაირღვეს.

ბელა კუნი აიარებს, რომ რუმინელების შემოტევის ბოლშევიკების მხოლოდ მცირე ნაწილმა გაუძლო.


„ტაიმს“-ში ერიკ სვებორკი სწერს, რომ ყოველ ექვს გარეშე, ინგლისის მთავრობა დიდი ნდობით სარგებლობს ეგვიპტეში, ის დარწმუნებულია, რომ ინგლისის ხელმძღვანელობით ეგვიპტეს წარმატება სწრაფი ნაბიჯებით წავა წინ, მაგრამ ეგვიპტე მაინც მომზადებული არაა თვით მართველობისთვის-

იტალიის პარლამენტმა მთავრობას ნდობა გამოუცხადა. „ნესტმინსტურ ის გაზეთი“ ამბობს, რომ პარლამენტის დადგენილება არ სპობს მოლაპარაკების გაგრძელების და დათმობათა საშუალებას.

იტალიის პარლამენტმა ფიუმეს საკითხში ორლანდოს მოქმედებას სრული თავისუფლება მისცა.

საზავო კონფერენციაზე აღიძრა საკითხი იმის შესახებ, იტალია იყოს თუ არა მესხეთე დიდ სახელმწიფოდ. იტალიამ არ მოისურვა საზავო ხელშეკრულების მოწერა, მაგრამ აქვს სურვილი შეინარჩუნოს ადგალი იმ დიდ სახელმწიფოთა შორის, რომელთა ხელშია ამ ქამად არის ქვეყნის ბედი. ეს გარემოება იძულებს იტალიას მიიღოს მოწვევა და დაბრუნდეს საზავო კონფერენციაზე. საზავო ხელშეკრულობაში ხშირად იხსენიება ხუთი დიდი სახელმწიფო, როგორც მრავალი საკითხის გადაწყვეტი უმაღლესი ავტორიტეტი. დაამზადეს ხელშეკრულების ორი ვარიანტი: ერთში იტალიაც იღებს მონაწილეობას, მეორეში — არა. ეს ორივე ფორმა ხელშეკრულების ტექსტთან ერთად ხვალ უკვე დაბეჭდილი იქნება.

— დიდი ხნის შეწყვეტის შემდეგ რუსეთიდან დებეშები მოვიდა, რომელნიც აღნიშნავენ რუსეთში მდგომარეობის არსებითად გამოცვლას. კოლჩაკის და იუდენიჩის შეტევასთან ერთად დაიწყო მოსკოვის და პეტროგრადის დაცლა. ბოლშევიკების წინააღმდეგ მოქმედება ყველგან კარგად მიდის, ესევე ითქმის რუმინ-



ის ფონტის შესახებ, სადაც რუმინის  
არი ავტორებს უნგრეთის ბოლშევი-  
ებს. ფინელები არხანგელსკთან მოკავ-  
შირეთა ჯარს შეუერთდნენ და შეტე-  
ვის განაგრძობენ. ჯერ არ არის საშუა-  
ლება შემოწმდეს ეს ცნობები, რომელიც  
ცნობ წყაროებიდან არის მოსული.

# ახალი ამბავი

მ თ ა ი ს ი.

➔ **ჩვენი ვაჭვით** ოთხშაბათს არ გა-  
სულა, რადგანაც ასოთ-ამწყობებმა  
გორგობა იდღესაწაულეს.

➔ **ნინო ჩხეიძის იუბილე.** დამსახუ-  
რებული მსახიობი ქალის ნინო ჩხეიძის  
უბილეს მომწიბობა კომისიამ საბოლოოდ  
დაადგინა რომ ნინო ჩხეიძეს 30 წლის  
სასკენო მოღვაწეობის აღსანიშნავათ იუ-  
ბილე გადაუხადოს 1 ივნისს.

➔ **სახვების ქალაქის არჩევნები.** სო-  
ხუმის ქალაქის არჩევნებში არა სოცია-  
ლისტურმა ბლოკმა გაიმარჯვა. სულ არ-  
ჩეულ იქნა 40 ხმოსანი. აქედან არა სო-  
ციალისტურმა ბლოკმა ვიყვანა 22 ხმო-  
სანი, სოციალისტურმა ბლოკმა 18 ხმო-  
სანი, არა სოციალისტურ ბლოკს შეად-  
გენდენ: ერ. დემოკრატები, ბერძნები,  
უკრაინელები და ვერალები.

➔ **სასწავლებლებში.** მიმდინარე წლის  
დამლევს საშუალო სასწავლებლებში გა-  
მოცდები არ იქნება. მოწაფეებს შემდგ  
კლასებში ნიშნების მიხედვით გადაიყვანე-  
ნენ. გამოცდები არც უფროსი კლასის  
მოწაფეებს ექნებათ. სიმწიფის მოწიბობები  
მათ ნიშნების მიხედვით მიეცემათ.

➔ **სომხები მოხალისეთა ჯარში.**  
მოხალისეთა სარდლობამ სომხების მობი-  
ლიზაცია გამოაცხადა. ჯარში ყველა სო-  
მეხს იწვევენ ვისი ქვეშევრდომიც არ უნ-  
და იყვეს, რამაც სომხებში უკმაყოფილება  
გამოიწვია და ინგლისელებს თხოვნით  
დელეგაცია გაუგზავნა, რომ გავლენა  
ქონიოს და სომხები ჯარში გაწვეულნი  
არ იქნენ.

➔ **ქართული ლატარია.** ქართული 5  
მილიონიანი ლატარია ქართულ უნივერ-  
სიტეტის და თეატრის სასარგებლოთ, რომ-  
ელიც უნდა გათავაშებულიყო ამა წლის  
1 მაისს 2 ნომბრისათვის გადაიღო.

➔ **ყარსის ბედი.** სომხური ვაჭვითს  
ცნობით ყარსის სიმაგრე და სახელმწიფო  
დაწესებულებანი 28 აპრილს ინგლისელ-  
ებმა სომხებს გადასცა, სიმაგრე და ქალა-  
ქის კომენდანტათ დინიშნა სომხის მეო-  
თხე პოლკის უფროსი პოლკ. მათევევი.

➔ **ახალი ტიპის სახალხო სკოლები.**  
განათლების სამინისტროში ამ ჟამად იმუ-  
შავებენ პროექტს ახალი ტიპის სახალხო  
სკოლების შესახებ.

➔ **ახალგაზდები საზღვარგარეთ სწა-  
ვლის გასაგრძელებლად.** განათლების  
სამინისტროს ფიქრად აქვს მომავალ სას-  
წავლო წლიდან დასავლეთ ევროპაში  
სწავლის გასაგრძელებლად გაგზავნოს ის  
ახალგაზდები, რომელთაც საშუალო სას-  
წავლებლები დაუსრულებიათ. კანონ პრო-  
ექტი, რომელიც ამის შესახებ მუშავდ-  
ება, დასამტკიცებლად წარედგინება დამ-  
ფუძნებელ კრებას.

➔ **ეროვნული დემოკრატიული პარ-  
ტიის ხმოსანთა სია წვრილი ერთეულე-  
ბის არჩევნებში საყულის თემში 1)**  
გიორგი ბიჭიას ძე ელიაშვილი, 2) ტა-  
რასი მოსეს ძე სანბლიძე, 3) ნესტორ  
ეტიფანეს ძე ნიჟარაძე, 4) გიგო იაკობის  
ძე მარგველაშვილი, 5) ნიკოლოზ ხახუ-  
ლის ძე ლალიაშვილი, 6) ილარიონ კა-  
პანაძე, 7) ნოე ლალიაშვილი, 8) ივანე  
აბლაძაძე, 9) კოსტა სვანაძე, 10) ასონ  
ნიჟარაძე, 11) ვასილ ლალიაშვილი, 12)  
კალისტრატე ნიშნიანიძე, 13) ეფრემ  
დეისაძე, 14) სტეფანე მარგველაშვილი,  
15) პარმენ ნიჟარაძე.

**პატრიკეთის თემში** იოსებ ელიზ-  
ბარის ძე ნარჩიშვილი 2) სერაფიონ  
იოსების ძე შენგელია, 3) თადეოზ ჯი-  
კიძე, 4) გიგო ჯიკიძე, 5) გიორგი მიხე-  
ილის ძე აგიაშვილი, 6) გიორგი კახაია,

7) კონსტანტინე დიმიტრის ძე შარვაში-  
ძე, 8) პეტრე იოსების ძე ჯგენარაძე, 9)  
პეტრე გიორგის ძე ჩხობაძე, 10) ბესარიონ  
ჯანელიძე, 11) ფილიპე ექვთიმეს ძე ჩხო-  
ბაძე.

➔ **ქვიტირის თემში:** 1) ივანე ეგნა-  
ტეს ძე ყუბანეიშვილი, 2) ივანე ალექ-  
სის ძე მდივანი, 3) დეკანოზი დავით ნა-  
სარიძე, 4) რაქდენ გერაძე, 5) მელიტონ  
კაციაძე ძე ჯავახაძე 6) ალექსი კაციაძის  
ძე ჯავახაძე.

**ოფურჩხეთის თემში** 1) კირილე  
დავითის ძე ავალიანი, 2) აკაკი სამსონის  
ძე ავალიანი, 3) სპირდონ ჯიშკარიანი,  
4) გიორგი ჯიშკარიანი, 5) ლევან მელ-  
ქაძე, 6) ევგენი ბეჟენის ძე ლოროთქიფანიძე,  
7) შალიკო აღხაზიშვილი, 8) ილია  
სამსონის ძე ავალიანი, 9) ვარდენ პეტ-  
რეს ძე დანგაძე, 10) ალექსანდრე ლორ-  
თქიფანიძე, 11) ილარიონ ბასილის ძე  
ჯიშკარიანი 12) დავით ნესტორის ძე  
კანდელაკი, 13) ლუკა აბაზაძე, 14)  
ზოსიმე აბაზაძე 15) არსენ წიწილაშვი-  
ლი.

➔ **არითმეტიკის სახელმძღვანელო.**  
რედაქციამ მიიღო თ. მთავრიშვილის ამ-  
ხანაგობის გამოცემა არითმეტიკის სახელ-  
მძღვანელო "სრული კურსი უმაღლეს-  
დაწყებითი და საშუალო სასწავლებლის  
პირველი, მეორე და მესამე კლასისა. წი-  
გნი შედგენილია თბილისის მეორე ვაჭ-  
თა გიმნაზიის დირექტორის მ. ყ. ზალი-  
შვილის მიერ. დაბეჭდილია სუფთად და  
კარგს ქაღალდზე, შეიცავს 187 გვერდს  
და ღირს 10 მანეთად.

➔ **ახალი გამოცემები.** კანტორა „იმე-  
რეთმა“ მიიღო ახალი გამცემები: ქურნა-  
ლი „შვიდი მნათობი“ ფასი — 25 მან.  
„პატარა წიგნი თანამედროვე საქართვე-  
ლოზე.“ ეხლანდელი მოღვაწეების სურა-  
თებით ფასი — 3 მანეთი, „ინტელეგენცია  
და სოციალ-დემოკრატია“ ფასი 30 კაპ.

➔ **მადლობის გამოცხადება.** კახია-  
ნოურის წმინდა გიორგის ეკლესიის კრე-  
ბული მადლობას უძღვნის მმ. ბეგიშვი-  
ლებს, რომლებმაც ხსენებულ ეკლესიას  
შესწირეს 142 არშინი ხავერდი.

➔ **საჯარო ვაჭრობა.** კვირას 12  
მაისს, დღის 10 საათზე დანიშნულია  
საჯარო ვაჭრობა 1 საარტილერიო ბრი-  
გადის ცხენებისა (ორპირის ქუჩაზე ყა-  
ნთართან).

## ახ. სანაპისო ქალ. თვითმმართველობის გარეშე.

ქ. სენაკის თვითმმართველობას თავისი  
ტანჯული ისტორია აქვს.

არ იქნა, არ ეღირსა სენაკის მცხოვრები  
თვითმმართველობას, რომელმაც თავისი მო-  
ვალეობის შესრულებას მოჰკიდოს ხელი  
და სენაკის „ქალაქობას“ შესაფერისი  
იერი და საჭე მისცეს.

თვითმმართველობის არჩევის ვარშემო  
სენაკი წამებას განიცდის ოლქის სასა-  
მართლოში.

მკითხველმა იცის, რომ პირველი არჩე-  
ვები სოციალისტური ბლოკის საშინელი  
დამარცხებით დასრულდა.

ოც ხმოსნებში მათ ერგათ მხოლოდ  
რვა, დანარჩენი კი ეროვნულ-დემოკრა-  
ტებს.

სასტიკი მზადების შემდგომ ასეთი მო-  
ულოდნელი მარცხი ბლოკისა იყო პირ-  
ველი შემთხვევა.

რასაკვირველია, რომ თბილ ადგილებს  
შეჩვეულ სოციალ-დემოკრატებმა ვერ  
შესძლეს შერიგება ამ მოვლენასთან და  
არჩევნების დასრულებამდე ფარ-ხმალ  
დაყრით იწყეს გაცხარებული მსჯელობა  
გასაჩივრების შესახებ.

ნულ-დემოკრატების გამარჯვება რალაც  
„მანინაციებს“ მიაწერა, რასაც მეტი აღგი-  
ლი მათ პარტიულ ამხანაგთა მოღვაწეო-  
ბაში აქვს.

ასრულდა ეს დევების მიზანი.  
დაიწყო მზადება მეორე არჩევნებისათ-  
ვის და აქ პირველ ადგილას დაისვა  
სტრატეგიული საკითხი: ქალაქის საზღე-  
რების გადიდების შესახებ.

ეს დევება ესეც მოახერხეს და ქალაქ  
სენაკს ისეთი ტერიტორია მისცეს, რომ  
შელიც ალბათ ევროპის რომელიმე ქა-  
ლაქსაც არ ეღირსება. მეორე არჩევნებზე  
„მორაკეტს ხალხი“, როგორც ისინი ამბობ-  
დენ.

გაიმარჯვეს. თავიდანვე სჩანდა კანო-  
ნიერების დარღვევა და რალა საჭირო  
იყო ენერჯის ძლიერი ამქმეება, რომდე-  
საც ეს მეორე არჩევნებიც უეჭველად  
სასამართლოს განჩინების მსხვერპლი უნ-  
და გამხდარიყო.

ეროვნულ-დემოკრატებმა გაასაჩივრეს  
არჩევნები, რომელიც საოლქო სასამართ-  
ლომ დაარღვია.

„სოციალ-დემოკრატის“ სიტყვით რომ  
ვილაპარაკოთ ეს დევების გამარჯვება  
სწორეთ იმ „მანინაციებს“ უნდა მივაწე-  
როთ, რომელსაც ვგრე შეჩვეულნი არი-  
ან ეს დევების „უმცროსი ამხანაგები“. ეს  
დევების ჩვეულებრივი ცოდვა გამოაშ-  
კარავდა.

ჩვენ ამითაც კმაყოფილნი ვართ.

ოდიშელი.

## იოსებ იოსელია.\*

ძვირფასო და დაუფიწარო იოსებ! უკ-  
ვე ორმოცმა დღემ განვლო მას შემდეგ,  
რაც სამუდამოთ შესწყდა შენი მაჯისცე-  
მა, დაღუპდა შენი ტკბილად მოუბარი  
ენა, აღარ მუშაობს შენი კეთილი გული,  
აღარ აზროვნობს შენი განვითარებული  
ტვინი, აღარ სტკებება ძვირფასი სამშობ-  
ლოს სიმშენიერით გულკეთილობისა და  
გამპირიანობის გამოშხატული შენი თვალე-  
ბი! სიზმარი გვგონია შენი ასეთი მოუ-  
ლოდნელი დაკარგვა. გული ვერ შერი-  
გებია ამ ზღედურობას. უსაზღვროა შენი  
დაკარგვით გამოწვეული მწუხარება. მას-  
წავლებელი, მოსწავლე, მშობელი თუ  
სხვა რომელიმე წვერი საზოგადოებისა,  
ვინც კი შენ გიცნობდა მისალმებასთან-  
ვე გულდათუთქული გეუბნება: „რა მო-  
გვივიდა, რა კაცი დავკარგეთ, რა უბე-  
დურობა გვეწვიაო“ და სხვ. ქეშმარიტად  
უღვთოა შენი სიკვდილი. დაობლდა შე-  
ნი საყვარელი გიმნაზია: მან შენში დაჰ-  
კარგა ნამდვილი აღმზრდელი მამა, შესა-  
ნიშნავი პედაგოგი, დახლოვებული გა-  
მგე, მოსიყვარულე და მისი ინტერესები-  
სათვის თავდადებული, მუდამ მასზე მზრუ-  
ნავი, გონიერი და კეთილი მწყემსი.

შენ ბუნებას პედაგოგის ასპარეზისთვის  
გაუჩინებარ. გაათავე უნივერსიტეტი თუ  
არა, შენ მაშინვე გინდოდა მასწავლებ-  
ლის ადგილი გეშოვნა, მაგრამ, რადგან  
იმ შავდროში ეს არც ისე ადვილი საქმე  
იყო, შენ იძულებული შეიქმენი დაგეწყო  
სამსახური აღმინისტრაციაში. აქ შენ ნა-  
ყოფიერი შრომით და პატიოსნებით ყუ-  
რადღება და პატივისცემა დაიმსახურე  
უფროსებისა და ამხანაგების მხრით და  
სულ მალე აიწვევი კარიერის საფეხურე-  
ბზე, რამდენათაც, რასაკვირველია, მაშინ  
შესაძლებელი იყო ჩვენებისათვის. მაგრამ  
შენი მომზადება და ბუნება სულ სხვას  
რასმე გავალებდა და მოსვენებას არ გაძ-  
ლევდა, მუდამ ამას ჩაგჭურჩულებდა: ეს  
შრომა შენი საქმე არაა, დაანებე ამას  
თავი და შენს საყვარელ საქმეს მოჰკიდე  
ხელიო. შენც დაუჯერე ამ იღუმალ ხმას  
და მართლაც უარყავი ეს შენთვის შეუ-  
ფერებელი შრომა და კერძო მოსამზადე-  
ბელი შკოლა საბავშვო ბაღით გახსენი.  
აქ ნახე შენ სრული კმაყოფილება, აქ  
გაიფურჩქნა შენი მასწავლებლობის

\* ეს წერილი აწყობილი იყო და სამშა-  
ბათის 18-ში უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ უაღ-  
ვილობის გამო ვერ მოთავსდა.

უნარი და თავდავიწყებით დაეწაფე შენს  
საყვარელ საქმეს. ვის არ ახსოვს, თუ  
როგორ მომზადებულ ბავშვებს იძლეოდა  
შენი შკოლა. იმ დროს შენ — გაბრუნე-  
ბის და გადაგვარების საქმე უმაღლეს  
წერტულს აღწევდა, მაგრამ შენ მაინც  
ახერხებდი და ყოველ ღონეს ხმარობდი  
ამ პატარა ქართველთა გულში სამშობ-  
ლოსადმი სიყვარული, პატივისცემა, თვი-  
სი ვინაობის შეგნება და ეროვნული მი-  
სწრაფება ჩაგენერგა. ამას დაამოწმებს  
არა ერთი და ორი ამ შკოლიდან გამოსუ-  
ლი ქართველი. ეს შკოლა შენი ხელმძღვა-  
ნელობით და სალი პედაგოგიური მომზა-  
ლებით წრთვინდა არა მარტო მოწაფეებს,  
არამედ მასწავლებელთაც. ამ შკოლიდან  
სათანადოთ მომზადებული პედაგოგები  
საზოგადოებაში მრავლათ გამოსულან.

რამდენიმე წლის შემდეგ შენი ნიჭი  
და გამოცდილება ქართულ საზოგადოე-  
ბას უფრო ფართო ფარგლებისათვის და-  
სტირდა: ეს იყო 1901 წელი, როცა  
შენ სახანაურო შკოლის გამგეთ მივიწე-  
ვიეს. ამ დროიდან იწყება შენი მუშაობა  
და ზრუნვა ამ სასწავლებლის აღორძინე-  
ბასა და განვითარებაზე. შენი მეცადინე-  
ობითა და დაუღალავი შრომით მაშინდელ  
4-კლასიანი პროგინაზია რამდენიმე წლის  
განმავლობაში გიმნაზიით გადაიქცა, რომ-  
ელსაც შენს უკანასკნელ წუთებამდე სა-  
თავეში უღდექი და რომლისთვისაც ამდგ.

ნი ხნის განმავლობაში შენს გონიერ მე-  
საქეობას მრავალი სეტყვა და ქარიშხალი  
აუცილებია, უმარცხოთ გაუტარებია სცი-  
ლლასა და ხარიბდას შორის და სიმედო  
ნავსადგურში მიუყვანია. შენი პედაგო-  
გიური მომზადება, გამოცდილება, გონი-  
ერება, გულკეთილობა, პატიოსნება და  
სამართლიანობა იყო მიზეზი იმისა, რომ  
ამდენი წლების განმავლობაში მასწავ-  
ლებელთა კორპორაციის წევრებს და თი-  
თქმის არც ერთ მოწაფეს საგრძობი უსი-  
ამოვნება და გულგატეხილობა არ უგრძ-  
ნია. განწყობილება ამხანაგებში შესანიშ-  
ნავი იყო, არავითარ განხეთქილებას მა-  
თში თითქმის ადგილი არ ჰქონია, და  
თუ ოდესმე რამე უსიამოვნება თავს იჩე-  
ნდა, ამას შენ მოხერხებული სიტყვა მო-  
ქმედებით მაშინვე ჩაქრობდი, მალამოს  
მოსცხებდი და გამწვავებამდე არ მიიყვან-  
დი. ჩვენც ვფასებდით ამისთანა გონიერ  
მოქმედებას და თავიც მოგვეკონდა, ვამა-  
ყობდით სხვათაშორის იმითაც რომ კო-  
რპორაციაში ასეთი ნამდვილი ამხანაგუ-  
რი ურთიერთობა სუფევდა. შენ იყავი  
ცემენტი, რომელიც ამხანაგებს აკავშირ-  
ებდა და შეერთებული ძალით ნაყოფი-  
ერი შრომისკენ იწვევდა და ეკლიან გზაზე  
სიარულს თითოეულ ჩვენგანს უადვი-  
ლებდა.

დადგა სანეტარო დრო — გვეღირსა თა-  
ვისუფლება: ჩვენი წამებული, აბუჩად აგ-  
ლებული და პატივხდილი საქართველო  
დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხად-  
და, რის გამოც შეტს სიხარულს საზღვა-  
რი არ ჰქონდა. მიუხედავად დიდი შრო-  
მისა და საკმაოდ ხანგრძლივი მუშაობისა  
შენ ახალგაზღვრი აღფრთოვანებით შეუ-  
დგე ახალ საქმეს: ეს იყო გაეროვნებულ  
სასწავლებელთათვის სახელმძღვანელოების  
დამზადება. შენი რჩევითა და ინიციატი-  
ვით ჩვენმა კორპორაციამ დააარსა წიგნე-  
ბის გამოცემლობის „განათლების“ ამხა-  
ნაგობა, რომელმაც შედარებით სულ  
მოკლე დროში ჩვენი სასწავლებლები სა-  
ხელმძღვანელოებით თითქმის უზრუნველ  
ჰყო. შენ ამ საქმეს უწინაც აწარმოებდი:  
ამხანაგებთან თანამშრომლობით ადგენდი

